



„ჩინგუძი საქაბთუელთა, სიბჟი ჩუენ ვაბთ ყულათ“

ყოლხეთი

გამოდის 1923 წლის 1 მაისიდან

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

2022 წელი • №7-8 (9525-9526) • 1-30 ავრილი • ფასი 1 ლარი



24 აპრილი - ბრწყინვალე აღდგომა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი გილოცავთ!

მუნიციპალიტეტის მერიასი საუკეთესო მუნიციპალური პროექტი



სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ განხორციელებული პროექტი – „შინ მოვლის პროგრამა“ საუკეთესო მუნიციპალური პროგრამად დასახელდა. შესაბამისი სიგელი სენაკის მუნიციპალიტეტის მერს, ვახტანგ გადელიას გადაეცა.

დაჯილდოების ცერემონიალი – საქართველოს მთავრობის, გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით

განხორციელებული პროექტის – „დეცენტრალიზაციისა და კარგი მმართველობის ხელშეწყობა ადგილობრივ დონეზე“ ფარგლებში, საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის (NALAG) ორგანიზებულ ეროვნულ კონფერენციაზე გამართა, სადაც პროექტის ფარგლებში გამარჯვებული მუნიციპალიტეტები გამოავლინეს.

კონკურსში გამარჯვებულ 5 მუნიციპალიტეტს შორისაა სენაკის მუნიციპალიტეტი.

კონფერენცია გახსნეს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ, მზია გიორგობიანმა და საქართველოში UNDP-ის მუდმივმა წარმომადგენელმა, ნიკ ბერესფორდმა.

სიბებლები გადაეცათ

ექიმთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ, პანდემიის ურთულეს პერიოდში, კოვიდ კლინიკებად გადაკეთებული სამედიცინო დაწესებულებების – „ლაზიკამედის“ და „არქიმედეს“ ხელმძღვანელებს, ჟანა შამათავას, მარეხი ადანაიას და „სენამედის“ წარმომადგენელს, ირმა ხოშტარას უმასპინძლა.



ნავირუსის პანდემიის პერიოდში, თქვენი პროფესიონალიზმისა და დაუღალავი ღვაწლისთვის.

სენაკის მუნიციპალიტეტის მასშტაბით მოღვაწე მედიცინის ყველა მუშაკს, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის, მუნიციპალური და კერძო სამედიცინო დაწესებულებების თითოეულ წარმომადგენელს, კიდევ ერთხელ ვულოცავ პროფესიულ დღესასწაულს - აღნიშნა შეხვედრისას ვახტანგ გადელიამ.

ვიზიტი სენაკში



შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სენაკის ფილიალში, რეგიონული ტურის ფარგლებში, ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორი დევიდ ლი, სენაკის მუნიციპალიტეტის მერს, ვახტანგ გადელიას, მერის პირველი მოადგილეს, გრიგოლ ბალათურას და ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორს, თეონა ხუფენიას შეხვდა.

შეხვედრაზე იმჯელებს ბიზნესის ჩართულობის მნიშვნელობაზე რეგიონული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში. ასევე, პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამებზე ხელმისაწვდომობის

ზრდისა და სამომავლო თანამშრომლობის შესახებ.

ვიზიტის ფარგლებში, სტუმრებმა დაათვალიერეს შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სენაკის ფილიალის სასწავლო სივრცე.

ევროპული ბიზნეს ასოციაცია აერთიანებს საქართველოში მოქმედ მსხვილ და საშუალო ზომის საბანკო-საფინანსო, აუდიტორულ, იურიდიულ, ტურიზმის და სხვა სექტორების ასზე მეტ ევროპულ კომპანიას. ასოციაცია, წევრ კომპანიებთან ერთად, უკვე რამდენიმე წელია აქტიურად არის ჩართული ახალგაზრდების განვითარების პროექტებში და მხარს უჭერს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გაძლიერებას.

ევროპული ბიზნეს ასოციაციის წარმომადგენლობის ვიზიტი სენაკში, უნივერსიტეტის საგანმანათლებლო სივრცეში, საფუძველს ჩაუყრის ახალ სამხრეთ თანამშრომლობას და გააძლიერებს ინოვაციური პროექტების მხარდაჭერასა და განხორციელებას

სარეაბილიტაციო სამუშაოები ნოსირში

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლებთან ერთად, ნოსირის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე მრავალბინიანი კორპუსების მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებს გაეცნო.



პროექტით გათვალისწინებულია კორპუსების გარე ფასადებისა და სახურავების რეაბილიტაცია, ეზოების შემოღობვა და კეთილმოწყობა.

მრავალბინიანი კორპუსების რეაბილიტაციის პროექტი, რომელსაც შპს „მენათი“ ახორციელებს და რეგიონალური განვითარების ფონდი აფინანსებს, მიმდინარე წლის ივნისის ბოლოს დასრულდება.

(გაგრძელება მეორე გვერდზე)

უახლესი ისტორიის ორი თარიღი



სენაკში, ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიის ორი მნიშვნელოვანი თარიღის - დამოუკიდებლობის აღდგენის საყოველთაო რეფერენდუმიდან 31-ე და დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის, საქართველოს ეროვნული გმირის, ზვიად გამსახურდიას დაბადებიდან 83-ე წლისთავისადმი მიძღვნილი თემატური ღონისძიებები გაიმართა. 1991 წლის 31 მარტს ჩატარებულმა რეფერენდუმმა თვალსაჩინო გახადა

ქართველი ხალხის ურყევი ნება საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის შესახებ.

„დამოუკიდებლობა ერის ზნეობის გადარჩენაა და, ამდენად, თვით ერის გადარჩენაც“ - ამბობდა ამ ისტორიული მოვლენის სულისჩამდგმელი - საქართველოს პირველი პრეზიდენტი, რომლის ღვაწლსა და ქვეყნისათვის თავდადებაზე ისაუბრეს დღეს ყოელი შარტავასა და მისივე სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმებში, საჯარო ბიბლიოთეკაში.

ღონისძიებებს სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, გრიგოლ ბალაუჩია, ადგილობრივი თვითმმართველობისა და საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად დაესწრო.

ტურისტული ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში



სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მენეჯერს, თინათინ ტყემელაშვილს, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს წარმომადგენელს, სოფიო სვანაძეს, ინფრასტრუქტურის სამინისტროს ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისა და პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსს, ნიკოლოზ როსტომაშვილს და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) რეგიონულ კოორდინატორს, სალომე გუგუშვილს შეხვდა.

სამუშაო შეხვედრაზე ისაუბრეს გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) „რეგიონული და ადგილობრივი განვითარების

ხელშეწყობა (FRLD) - ფაზა 2“ პროექტების ფარგლებში, საქართველოს მთავრობის, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC), ავსტრიის განვითარების თანამშრომლობისა (ADC) და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით განხორციელებულ და მიმდინარე ტურისტულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, ასევე, მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიასა და სამომავლო გეგმებზე.

გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) „რეგიონული და ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა (FRLD) - ფაზა 2“ პროექტების ფარგლებში, სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ბეთლემში, შემეცნებით-გასართობი ატრაქციონი „თოკების პარკი“ მოეწყო.

ამ ეტაპზე, ზემო ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში, ტურისტული სივრცის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს.

დასრულების ეტაპზეა



გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) „რეგიონული და ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა (FRLD) - ფაზა 2“ პროექტის ფარგლებში, სენაკის მუნიციპალიტეტის ზემო ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში, ტურისტული სივრცის მოწყობის სამუშაოები დასრულების ეტაპზეა.

დასრულებულია ბორანამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია და გარე განათების სისტემის მონტაჟი.

შესრულებულ სამუშაოებს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე მზია გიორგობიანი, სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე ნინო ვიბლიანი, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) საქართველოს ახალი ხელმძღვანელი ნიკ ბერესფორდი ტურისტულ ატრაქციონს გაეცნო. შემდეგ კი - ხელისუფლების წარმომადგენლებმა, მას ნოქალაქევის მუზეუმ-ნაკრძალი დაათვალიერებინეს.

რების პროგრამის (UNDP) საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელი ნიკ ბერესფორდი და სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ გადელია გაეცნენ.

განახლებული ინფრასტრუქტურით, მუნიციპალიტეტს ტურისტული თვალსაზრისით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სივრცე შეემატება. პროექტი საქართველოს მთავრობის, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC), ავსტრიის განვითარების თანამშრომლობისა (ADC) და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით ხორციელდება.

ამავე პროექტის ფარგლებში, სენაკის მუნიციპალიტეტში, თოკების პარკი მოეწყო. UNDP საქართველოს ახალი ხელმძღვანელი ნიკ ბერესფორდი ტურისტულ ატრაქციონს გაეცნო. შემდეგ კი - ხელისუფლების წარმომადგენლებმა, მას ნოქალაქევის მუზეუმ-ნაკრძალი დაათვალიერებინეს.

პროექტები 15-31 ადმინისტრაციულ ერთეულში შერჩეულია

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები შერჩეულია.

ადგილობრივ მოსახლეობასთან გამართულ კრებებს/კონსულტაციებს, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად დაესწრო.

საზოგადოების მსჯელობისა და კონსულტაციების შედეგად, გადანიშნულნი მნიშვნელოვანი შემდეგ განსახორციელებელ პროექტებზე: **ჯემო ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში:**

სოფელ მუხურში - საინალერგო სისტემის რეაბილიტაცია; სოფელ სირიაჩქონში - გარე განათების ქსელის მოწყობა;

თიკლათის ადმინისტრაციულ ერთეულში: თეკლათი-ბათარის გაზაზე - ცხაურის რეაბილიტაცია;

სოფელ გოლასკურში - გარე განათების სისტემის მოწყობა და საყანე ფართობის შემოღობვა;

სოფელ რეკაში - გარე განათების სისტემის მოწყობა;

სოფელ ტყირში - საინალერგო სისტემისა და ხიდ-ბოგორების რეაბილიტაცია;

ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში: სოფელ ახალსოფელში - შიდა საუბნო გზების მოხრეშვა-მოშანდაკება და სასაფლაოს შემოღობვა;

სოფელ ისულაში - გარე განათების ქსელის მოწყობა, საფანჯარო და მეურნეობის უბნების გზების რეაბილიტაცია, წყაროს კეთილმოწყობა.

შაფათის ადმინისტრაციულ ერთეულში: სოფლებში - უშაფათში, ლეგოგინესა და ლეკოკაიში - შიდა საუბნო გზების მოხრეშვა-მოშანდაკება;

ფოცხოს ადმინისტრაციულ ერთეულში: სოფელ ფოცხოში - ხიდ-ბოგორის რეაბილიტაცია; შამათაგების უბანში - ცხაურის მოწყობა და გზის მოხრეშვა-მოშანდაკება;

ლეგოგინე-ნასაფხუსა და სოფელ მეორე მოხაშიში - გზების მოხრეშვა-მოშანდაკება;

სოფელ მოხაშიში - ლეკუბეციის უბანში, მილხიდის მოწყობა და გზის მოხრეშვა-მოშანდაკება;

ჯანის ადმინისტრაციულ ერთეულში: სოფელ ზანაში - გზის მოხრეშვა-მოშანდაკება; სოფელ ენერში - გზის მოხრეშვა-მოშანდაკება და მილხიდის მოწყობა;

სოფლებში - საესებოში, საშურდაიოსა და სატყეებუჩავოში - გზების მოხრეშვა-მოშანდაკება და გარე განათების სისტემის მოწყობა;

ძველი სანაპის ადმინისტრაციული ერთეულში:

სოფელ საჩიქობავოში - 2 მილხიდის მოწყობა; სოფელ ძველი სენაკის ცენტრში - ტრენაჟორების მონტაჟი;

სოფელ ქვედა სორტაში - სკვერის მოწყობა; სოფელ კოტიანეთში - გარე განათების მონტაჟი, ხიდის გაფართოება და გზის მოხრეშვა-მოშანდაკება;

ნოქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში: სოფელი ჯიხა - სასაფლაომდე მისასვლელ გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა; სკვერის კეთილმოწყობა;

მეჯვის ადმინისტრაციულ ერთეულში: სოფლებში: ბათარია, სახარბელიო, საწულე-ისკრიო, სკურია და პერტული - გზების მოხრეშვა-მოშანდაკება;

სოფელ სკურიაში - გარე განათების მოწყობა; **ბაის ადმინისტრაციულ ერთეულში:**

სოფლებში: ეკი, სადამიო, საცხვიტაო, შრომისკარი - გზების მოხრეშვა-მოშანდაკება;

სოროს ადმინისტრაციულ ერთეულში: სოფელ შუა ხორში - გარე განათების მოწყობა;

სოფლებში: ციხეთი და დიდი ხორში - გზების ბეტონის საფარით მოწყობა;

სოფელ საგუგუნავოში - მოსაცდელის მოწყობა;

სოფელ პატარა ზანაში - გზის რეაბილიტაცია.

ნოსირის ადმინისტრაციული ერთეული: სოფელ შუა ნოსირში - ბიბლიოთეკის რეაბილიტაცია;

სოფლებში: შუა ნოსირი, ნოსირი, საოდიშარიო - გარე განათების მოწყობა;

სოფელ საოდიშარიოში - მოსაცდელის მოწყობა;

სოფელ საბესელიოში - საძოვრის შემოღობვა;

ლემხავის ადმინისტრაციული ერთეული: სოფელ ლემხავიში - სპორტული მოედნის მოწყობა;

მომრე ადმინისტრაციული ერთეული:

სასახოკის, საჩილაჩაოსა და საბარკალაოს უბნებში - გარე განათების მოწყობა;

გეჯათის ადმინისტრაციული ერთეული: სოფელ გეჯათში - სკვერის შემოღობვა;

საბავშვო ბაღის გარე ფასადის მოწესრიგება.

სენაკის მუნიციპალიტეტისთვის „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში 738 000 ლარია გამოყოფილი.

პროგრამის ფარგლებში, მოსახლეობის მიერ არჩეულ განსახორციელებელ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, მერია განახორციელებს

სამუშაო შეხვედრა

პრემიერ-მინისტრის ინიციატივით მიმდინარე დასაქმების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სხდომათა დარბაზში, მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ, სოციალური მომსახურების სააგენტოს სამეგრელო ზემო-სვანეთის სოციალური მომსახურების ცენტრის სენაკის განყოფილებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლებთან, სამუშაო შეხვედრა გამართა.

მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, რომ დასაქმების ხელშეწყობის პროგრამა მოქალაქეების ნახალისების, მათი სამუშაო ბაზარზე ინტეგრაციის, სოციალურად დაუცველი ოჯახების ეკონომიკური გაძლიერების საუკეთესო შესაძლებლობაა. ამ მიმართულებით, მუნიციპალიტეტი აქტიურად გააგრძელებს ვაკანსიების მოხილვების პროცესს.

სამუშაო შეხვედრაზე, მერის წარმომადგენლებს მიენოდათ დეტალური ინფორმაცია პროგრამის განხორციელების პროცესში ჩართული მხარეებისა და ზოგადი პრინციპების შესახებ.

საზოგადოებრივი სამუშაო გულისხმობს ისეთ ვაკანტიურ პოზიციებზე დასაქმებას, რომლის შესრულება ნებისმიერი კვალიფიკაციის მქონე პირს შეუძლია. სამუშაოს მომწოდებლები - სახელმწიფო უწყებები და ადგილობრივი თვითმმართველობები არიან.

პროგრამის ბენეფიციარები, 18 წლის და უფროსი ასაკის შრომისუნარიანი პირები არიან, რომელთა ოჯახის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000-ს და იღებენ მიზნობრივ სოციალურ დახმარებას.

დასაქმების პროგრამაში ჩართულ პირს, 4 წლის განმავლობაში, სო-

ციალურად დაუცველის სტატუსი, მასთან მიმხვედრი ფულადი და არაფულადი ბენეფიტები, გარანტირებულად შეუნარჩუნდება. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში არ მოხდება სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის გადასინჯვა.

საზოგადოებრივ სამუშაოებში ჩართული ბენეფიციარები, სოციალურ დახმარებასთან ერთად, დამატებით ფინანსურ სარგებელსაც მიიღებენ. საზოგადოებრივი სამუშაოს შესრულებისთვის გაცემული თანხა წარმოადგენს სოციალურ გასაცემელს, რომელიც არ იბეგრება.

დასაქმების პროგრამაში ჩასართავად, ბენეფიციარებს შეუძლიათ მიმართონ სოციალური მომსახურების ან დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს სერვის ცენტრებს.

მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილება



იყო და არა იყო რა, იყო ერთი გოგონა, რომელიც წლების წინ ეგრისის სამეფოში იშვა. განსაკუთრებული უნარჩვევებით, ნიჭიერი, მომხიბლავი, ფერადი ფიქრებითა და ოცნებებით. უყვარდა, მდინარეთა შორის ყველაზე სუფთა და კამკამა ტყურას „მონაყოლი“ სმენა. წინაპრების მიერ ნაგებ ციხე-გოჯის ტალანებში სეირნობა. თავის აზრებს უკიდევანო ცის კაბადონზე მოკიანფე ვარსკვლავებს ანდობდა მხოლოდ. ბევრი რამ აინტერესებდა, რომელსაც ცხოვრება გზა და გზა, მისხალ-მისხალ აწვდიდა.

ეს გოგონა ზღაპრის პერსონაჟი არ გეგონოთ, მართალია ეგრისის სამეფოდანა მეთქი გითხარით, მაგრამ ჩვენი თანამედროვეა. ბევრი თქვენგანის მეგობარი, მასწავლებელი, ახლობელი, წლების მანძილზე სენაკის საგანმანათლებლო სფეროში მომუშავე, ახლა დედაქალაქში მოღვაწე - ნანა შალამბერიძეა.

როგორც თვითონ აღნიშნავს, „დაბადებულვარ 1951 წლის 4 სექტემბერს, სენაკის რაიონის სოფელ ნაქალაქევიში.“ წარჩინებულმა მოსწავლემ საშუალო სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა და ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე (1968-1973 წ.წ.). უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ დაბრუნდა მშობლიურ რაიონში და სხვადასხვა დროს ქალაქის I, III და V საშუალო სკოლებში ასწავლიდა გერმანულ ენას (1973-85 წ.წ.). შემდეგ წლებში მუშაობდა სენაკის განათლების განყოფილების უცხოური ენების სწავლების მეთოდისტად (1985-87 წ.წ.) და სასკოლო ინსპექტორად (1987-95 წ.წ.). დედაქალაქში საცხოვრებლად გადასვლის შემდეგ დაკავდა ურნალისტური საქმიანობით. მუშაობდა „დილის გაზეთს“ და „ექსპრეს ქრონიკის“ რედაქციებში. 2002 წელს დაარსდა და თავად რედაქტორობდა გერმანულენოვან გაზეთს „TBILISSER ZEITUNG“, შემდეგ საავტორი პროექტებით - ჯერ 2003 წელს გამოცა ორ ენოვანი ურნალი „GOETHE INSTITUT TBILISI“, ხოლო 2006 წელს გერმანული ლიტერატურული ურნალი K&L (კულტურა და ლიტერატურა) ევრო - კავკასიური უნივერსიტეტისათვის(თბილისი, საქართველო). 2006-12 წლებში ქალბატონი ნანა ირლანდიის დედაქალაქ დუბლინშია. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მუშაობს პროექტებზე, რომელთა უმეტესობა უკავშირდება ირლანდიას. 2017 წელს თანამოაზრეებთან ერთად აარსებს არაკომერციულ საქართველო-ირლანდიის კულტურული ურთიერთობების ცენტრს. აქედან მოყოლებული ახალი ფურცელი იშლება მის შემოქმედებით ცხოვრებაში. ეწევა მთარგმნელობით საქმიანობას, სცემს წიგნებს, სასაუბროებს... ერთი სიტყვით დაკავებულია სისხლსავსე შემოქმედებითი საქმიანობით, რომლის შესახებ დანერვილებით ვისაუბრებთ ინტერვიუში. 2017 წლიდან არის საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი.

ქალბატონი ნანა, უდაოდ ქართული ფენომენია ოდაბადესადმი მიზიდულობა. თქვენ როგორ გრძნობთ თავს, როგორ „გე-სიზმრებათ“ მშობლიური ალაგი.

ნაქალაქევი (სენაკის მუნიციპალიტეტი) ჩემი ოდაბადე... აქ მოვევლინე ქვეყნიერებას, აქ ავიდგი ფეხი, აქ გავიზარდე. ნაქალაქევი ჩემი პიროვნებად ჩამოყალიბების თავი და თავი. აქ სულ სხვანაირად ფიქროვებენ და ფორიატობენ ჩიტუნები. სულ სხვა ფერები დაპკრავს გარემოს... სულ სხვანაირი ადამიანები ცხოვრობენ... როცა რამეზე ვწერ, შემწნველად ამოცურდებიან ნაქალაქევური ამბები თუ პეიზაჟები, და რიგში ჩამწკრივებული უხმოდ ელოდებიან თავიანთ საპატიო ადგილს ჩემს შემოქმედებაში.

ნაქალაქევი ჩემი დედამისეული სახლი, რომელიც სათუთად ინახავს უტკბეს მოგონებებს. ასევე ნაქალაქევი ჩემი წინაპრების ძვალშესალაგი.

მე და ჩემს დებს, უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ, ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში მოგვინია ცხოვრებამ, მაგრამ ჯერ კიდევ მშობლების სიცოცხლის პერიოდში მივიღეთ გადამწყვეტილება, რომ არასდროს, როგორც განსაცდელის წინაშე არ უნდა დამდგარიყო ჩვენი ოჯახები, დედამისეული სახლი არ გაყიდულიყო და მისთვის შეძლებისდაგვარად მოგვევლო. ნაქალაქევი ჩვენთვის და ჩვენი შვილებისთვის შეუცვლელი დასასვენებელი ადგილი. ამ ტრადიციამ შვილიშვილებზე გადაინაცვლა და ასე გრძელდება.

სენაკში საგანმანათლებლო სივრცეში ხანგრძლივი მოღვაწეობის შემდეგ თქვენ გადახვედით დედაქალაქში და ურნალისტური საქმიანობა დაიწყეთ. გვიამბეთ აღნიშნული საქმიანობის ნიუანსებზე.

იმდენად დიდი და მრავალწინაგოვანი იყო განათლების სისტემაში მუშაობით მიღებული 22 წლიანი გამოცდილება, რომ იგი თბილისში საცხოვრებლად გადმოსვლამ არ გააფერმკრთალა. მართალია, მიტაცებდა ურნალისტური საქმიანობა და ერთი პერიოდი, მცირე ხნით, ვმუშაობდი კიდევაც გაზეთებში: „დილის გაზეთი“ (რედაქტორი მანანა კარტოზია) და „ექსპრეს ქრონიკა“ (რედაქტორი მაკა ჯანაშია), მაგრამ მოსვენებას არ მაძლევდა განათლების სისტემაში მუშაობის შედეგად მიღებული მდიდარი გამოცდილება, რომელიც ჩემი კოლეგებისთვის უნდა გამეზიარებინა. ეს დაედო საფუძვლად გერმანულენოვანი, თორმეტგვერდიანი გაზეთის გამოცემის იდეას, რომელიც შემდეგ პროექტად ჩამოყალიბდა და გაზეთს „TBILISSER ZEITUNG“ დაერქვა.

ამ იდეას და პროექტს მხარი დაუჭირა თბილისის გოეთეს ინსტიტუტის ენის განყოფილების მაშინდელმა ხელმძღვანელმა, საქმიანმა და კეთილშობილმა ქალბატონმა, პროფესორმა ეკა შავერდაშვილმა.

გაზეთს მრავალფეროვანი საინტერესო რუბრიკები ჰქონდა, რომლის შეასაბამისადაც იბეჭდებოდა მასალები, მათ შორის არაგერმანულ სკოლებში გერმანული ენის სწავლების მეთოდის საკითხები. და, რაც მთავარია, გაზეთი ასახავდა იმ წლებში (2002-2004 წ.წ.) თბილისში მცხოვრები და მოვლინებული გერმანული სპეციალისტების მოღვაწეობას.

გაზეთი გამოდიოდა თვეში ერთხელ და მიეწოდებოდა საქართველოს ყველა რეგიონის გერმანული ენის მასწავლებლებს.

გამოგიტყდებით, არ იყო ადვილი ამ საქმისთან შეხება, მაგრამ ჩემ გვერდით, ირგვლივ ისეთი პროფესიონალი ურნალისტები და გერმანისტები ტრიალებდნენ, ნებისმიერი სირთულე ადვილად დაიძლეოდა. ამას ემატებოდა შეუპოვარი „მე“, რომელსაც ცხოვრებამ ნესად უქცია თავდაუზოგაობა და საქმის ბოლომდე მიყვანა.

გოეთეს ინსტიტუტის მაშინდელმა ხელმძღვანელმა, ქალბატონმა ჰაინლემ, გაზეთის - TBILISSER ZEITUNG-ის მაკეტის წარდგენისთანავე, იმავე დღესვე, ინსტიტუტის

შენობაში დაგვიდო ბინა, გამოგვიყო ტექნიკური საშუალებები და თავს იდო სტამბის ფინანსური უზრუნველყოფა.

ჩვენი გაზეთისა და გოეთეს ინსტიტუტის თანამშრომლობის პერიოდს დაემთხვა ინსტიტუტის 10 წლისთავი და ჩვენმა ერთობლივმა შეხმატკბილებულმა გუნდმა მხარი დაუჭირა ჩემს ახალ იდეას, ამ თარიღისთვის მიგვეძენა ორენოვანი ურნალი „GOETHE INSTITUT TBILISI“. ეს პროექტიც განხორციელდა ამავე ინსტიტუტთან ერთად და 2003 წელს გამოიცა ზემოთაღნიშნული ურნალი.

რაც შეეხება საავტორი პროექტს „K&L“ (kultura&literatura), თბილისში გერმანულმანერალმა, ული როტფუსმა, რომელთანაც საქმიანი ნაცნობობა მაკავშირებდა, დაარსა ევრო-კავკასიური უნივერსიტეტი და მისთვის, მეფიქრა, ჩამომეყალიბებინა გერ-

თვა განსხვავებულ სამუშაოზე, მაგრამ, შვილებისა და შვილიშვილების პატრონს, ეს ნამდვილად არ გამჭირვებია. ამავე სახელში ცხოვრობდა ბავშვების ბებია, 90 წლის მისი ნენსი, რომელთანაც ურთიერთობამ ბევრი რამე განსაზღვრა ჩემს ცხოვრებაში. ის ერთ-ერთი საინტერესო სახეა ჩემს წიგნში - „ემიგრანტები“.

დუბლინში, ამ დიდ ლიტერატურულ ქალაქში, ცხოვრებამ სრულად გადაფარა ჩემი (ემიგრანტული) ცხოვრება.

ინგლისურენოვანი ლიტერატურა და ზოგადად საზღვარგარეთის ლიტერატურა არ არის ჩემთვის უცხო და ძალიან მიმზიდველი და საინტერესო იყო დუბლინში იმ ლიტერატურული თუ პოლიტიკური პროცესებისთვის თვალის მიდევნება, რამაც ჩემს საყვარელ „ინგლისურენოვან მწერლებს“,



„ემიგრანტები“ (პირველი წიგნის) პრეზენტაცია

მანუელენოვანი ლიტერატურული ურნალის პროექტი.

ჩემ მიერ შეთავაზებული პროექტი სიამოვნებით მიიღო ბატონმა ული როტფუსმა და 2006 წელს ევრო-კავკასიური უნივერსიტეტის მიერ გამოიცა გერმანულენოვანი ლიტერატურული ურნალი „K&L“ (kultura&literatura).

როგორც მათ ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვებამდე უწოდებდნენ - ბერნარდ შოუს, უილიამ ბათლერ იეიტსს, ოსკარ უაილდს, შიმაზ ჰინს, სამუელ ბიკეტს, ბრამ სტოკერს, ჯეიმზ ჯოისსა და არა ერთ დიდ მწერალს, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ნამდვილი სტატუსი, ირლანდიელი პოეტის, მწერლისა თუ ლიტერატორის სტატუსი დაუბრუნა.

თქვენს შემოქმედებით სულზე რას გვეტყვით, როგორ აღმოაჩინეთ ეს მუხტი თქვენში?

დუბლინში, რომ იტყვიან, „დულდა“ ლიტერატურული ცხოვრება, სადაც მოსვენებას არ მაძლევდა ერთი მომენტი ჩემი ცხოვრებიდან. ეს იყო 2002 წელს. გოეთეს ინსტიტუტის დირექციამ გერმანიიდან მოიწვია გერმანული მწერალი, ზემოთხსენებული ული როტფუსი, ახალფეხადგმული „TBILISSER ZEITUNG“-ის გუნდის ტრენინგებისთვის. სულ რაღაც ორი დღის ჩამოსული იყო ული, ჩვენს გუნდს და თითოეულის შესაძლებლობას უკვე კარგად იცნობდა და მოგვცა დავალება, დაგვეწერა ჩანახატი თემაზე - „ამ დილას“, რა თქმა უნდა, გერმანულ ენაზე. ფურცელზე არ უნდა ნაგვეწერა ჩვენი ვინაობა და ასე ინკოგნიტოდ დაეწინილიყავით. დავეწერეთ, ჩავაბარეთ და გავიტრუნეთ. ბატონმა ულიმ ყურადღებით ნაიკითხა ნამუშევრები.

ყველა ნამუშევარი მომეწონა, მაგრამ დარბაზში ერთი მწერალი ზის და მინდა გავიცნო, განაცხადა უბრალოდ და მრავალმნიშვნელოვანად ბატონმა ულიმ. დავიბენით. - აი, ის, ვინც გაყინულ ხელებზე და ცალ ხელთათმანზე მიაბო, შემდგარი პროზაიკოსიაო! - ჩამოგვიმარცვლა და კიდევ ერთხელ შემოგვიღიმა...

ორი დღე ვფიქრობდი, თავი გამეცა თუ არა... ცდუნებამ მძლია და სულ იმ კეთილი დღის ბრალია ჩემი ლიტერატურული მოღვაწეობა, რამაც დუბლინში მთლიანად ჩამითრია და დღემდე კეთილსინდისიერად და მოთმინებით მიუყვები ამ გზას, იქნება ეს მთარგმნელობითი თუ შემოქმედებითი საქმიანობა.

(გაგრძელება მე-5 გვ-ზე)

ჭილდო, რომელიც პასუხისმგებლობას ითხოვს

ეკიმოზა ურთულესი პროფესიაა, რომელიც დროს, ენერჯიას და უდიდეს პასუხისმგებლობას მოითხოვს განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეხება მომავალი თაობის ჯანმრთელობას. მშობლები ყოველთვის ვცდილობთ ჩვენი შვილების ჯანმრთელობა ვანდოთ გამოცდილ, პროფესიონალ ექიმს. ალბათ დამეთანხმებით ეს საკმაოდ რთული საქმეა. ჩვენს პატარა ქალაქში კი საბედნიეროდ გვყავს ისეთი პედიატრები, რომელთა ნდობა უკვე დრომ და მათმა პროფესიონალიზმმა დაამტკიცა. ჩვენს რესპონდენტს ყველა კარგად იცნობს. პატარა პაციენტების და მათი მშობლების საყვარელი იამზე ექიმი. რომელიც უკვე ბევრი წელია ზრუნავს სენაკელ და არა მარტო სენაკელ ბავშვებზე. განუზომელია მისი ღვაწლი და დამოკიდებულება პატარებისადმი. ყველასათვის საყვარელი იამზე ექიმი დღეს ჩვენი ნომრის სტუმარია. იგი ამ რამდენიმე დღის წინ სენაკის საპატიო მოქალაქედ აირჩია სენაკის მუნიციპალიტეტის მერიამ და მადლიერმა თანაქალაქელებმა.



იამზე ხარება დაიბადა 1946 წელს ქალაქ ცხაკაიაში. 1964 წელს წარჩინებით (ოქროს მედალზე) დაამთავრა ნალენჯიხის II საშუალო სკოლა. იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიულ ფაკულტეტზე, რომელიც ასევე წარჩინებით დაამთავრა 1970 წელს. ამავე წლიდან მუშაობდა დაიწყო ფოთის ბავშვთა საავადმყოფოში. 1976 წელს ჩაირიცხა და სწავლა განაგრძო თბილისის პედიატრიის სამეცნიერო ინსტიტუტში კლინიკურ ორდინატურაში. მას ინსტიტუტში ყოფნის პერიოდში დაწერილი აქვს რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომი. ერთ-ერთი, რომელსაც თითონ გამოყოფს არის სამეცნიერო ნაშრომი „გულის თანდაყოლილი მანკების“ შესახებ. იგი ამავდროულად იყო ჟურნალ „პედიატრია“-ს სარედაქციო კოლეგიის წევრი.

ვილდო, რომელიც მოითხოვს დიდ პასუხისმგებლობას. მადლიერი ვარ ყველა იმ ადამიანის, ვისი ჩართულობითაც მოხდა ჩემთვის ესოდენ დასაფასებელი ტიტულის მონიჭება. ეს ჩემთვის ძალიან დიდი პატივია, რომელსაც აუცილებლად ღირსეულად ვატარებ.

მოგვსენებათ ეკიმოზა პრესტიჟულ პროფესიად ითვლება. თქვენ თავად თვლით თუ არა თქვენს პროფესიულ არჩევანს სწორად?

გეთანხმებით, რომ ეკიმოზა საკმაოდ პრესტიჟული პროფესიაა, მაგრამ ამავდროულად საპასუხისმგებლო მოვალეობაა, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც მომავალი თაობის სიცოცხლე გაბარია. ჩემი არჩევანი თავიდანვე მქონდა განსაზღვრული, როცა პედიატრობა ავირჩიე. ბუნებრივია, როცა ბავშვთა ექიმი ხარ, გიყვარს ბავშვები და შესაბამისად მთელი ჩემი ცხოვრების უდიდესი ნაწილი მოვახმარე მომავალი თაობის ჯანმრთელობას.

რას ურჩევდით მშობლებს, თქვენი პაციენტების დედებს და მამებს, რომლებთანაც თითქმის ყოველდღიური ურთიერთობა გაქვთ?

ყველა მშობელს ვურჩევ აქტიურად ჩაებას შვილის აღზრდაში, ჯანმრთელი ცხოვრების წესი გაუხადოს ცხოვრების მიზნად, ეს აუცილებელი და მნიშვნელოვანია, რათა მოზარდი ჩამოყალიბდეს ჯანმრთელ და ჯანსაღ ადამიანად. გარდა ამისა, ყველა მშობელს ვურჩევდი შვილი დროულად მიიყვანოს ბავშვთა პოლიკლინიკაში პროფილაქტიკურ აკრებებზე, რათა თავიდან ავიცილოთ ინფექციური დაავადებები, რასაც რიგ შემთხვევებში მოჰყვება უმძიმესი გართულებები. ყველა ჩემს პატარა პაციენტს და მათ მშობლებს ვუსურვებ ჯანმრთელობას და ბედნიერ მომავალს.

გარდა ამისა ორივე სიტყვით მინდა მივმართო ყველას, ჩემს ქვეყანას, მეგობრებს, კოლეგებს, ნაცნობებს და უცნობებს. ყველას გისურვებთ მშვიდობას და ჯანმრთელობას. ეს აუცილებელია ნორმალური ცხოვრებისთვის. ძალიან მძიმე პერიოდს გამოვიარეთ და გავდივართ დღესაც. ვიმედოვნებ და დიდი იმედით მაქვს, ეს მძიმე დღეები დასრულდება და დაეუბრუნდება ნორმალურ ცხოვრებას.

რედაქცია ულოცავს ქალბატონ იამზეს საპატიო მოქალაქის ტიტულს. უსურვებს ჯანმრთელობას და პროფესიულ წინსვლას. მშვიდ და სიხარულით სავსე ცხოვრებას თავის მონაგართან.

„ჩემი ქალაქის ნაწილი ვარ“



ზაირა ფაჩულია დაიბადა 1935 წელს. ცხაკაიის ქალთა საშუალო სკოლის ოქროს მედალზე დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სოლიკატური ტექნოლოგიის ფაკულტეტზე.

მეცნიერ-მუშაკი გარდაიცვალა 2020 წელს. 2022 წლის 14 მარტს ზაირა ფაჩულია არჩეულ იქნა სენაკის საპატიო მოქალაქედ. ქალბატონ ზაირას, რომელიც გაზეთ „კოლხეთის“ ხშირი სტუმარია, ვულოცავთ ამ ტიტულს და მკითხველს ვთავაზობთ პასუხებს ჩვენს მიერ დასმულ რამდენიმე კითხვებზე.

ქალბატონო ზაირა, რას ნიშნავს სენაკის საპატიო მოქალაქეობა თქვენთვის? ამაყი ვარ, რომ ნაყოფიერი შემოქმედებითი, ხანგრძლივი პროფესიული მოღვაწეობის და საზოგადოებრივ საქმიანობაში შეტანილი წვლილისათვის მომანიჭეს სენაკის საპატიო მოქალაქის წოდება.

ეს ჩემთვის უდიდესი ჯილდოა, ყველა ჯილდოზე მაღალი. დიდი მადლობა სენაკის მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ ვახტანგ გადელიას, მრჩეველთა საბჭოს.

მზად ვარ სრულიად დავიხარჯო ჩემი ქალაქის, სენაკის და სენაკელების სამსახურში.

პროფესიის ხელახლა არჩევის შერჩევის შემთხვევაში შეაჩერებდით თუ არა არჩევანს კვლავ მშენებლის პროფესიაზე?

მშენებლის პროფესიის პატივს ვცემ. დედის პროფესია ავირჩიე და კიდევ ამახ სული შეუნყო იმან, რომ ჩემი თაობის ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტში მიდიოდა სასწავლებლად.

ჩემი გონება ფერუცვლელად ინახავს სასიამოვნო მოგონებებს პროფესიონალ მშენებლებთან, რაიონის ხელმძღვანელებთან, გასვლით სამუშაოებს სამშენებლო ობიექტებზე.

გთხოვთ გაიხსენოთ დღე, რომელიც გამორჩეულად დაგამახსოვრდათ.

გამორჩეული მახსოვს №5 სამშენებლო ტრესტში მოსვლის პირველი დღე და შეხვედრა გამოცდილ მშენებელთან გიგუჩი გაბისონიასთან.

დღე, როდესაც ჩამაბარეს სამშენებლო ლაბორატორია. პროფესიონალების დახმარებით შევძელი მომეყო საუკეთესო ლაბორატორია თავისი ალტურვილობით, წესრიგით.

ჩემი ტრესტი სხვადასხვა რაიონებს ემსახურებოდა და ჩამოსულებს ძალიან მოსწონდათ აპარატურა, ოთახები, კონტროლის აღრიცხვა. აქ ვიმუშავე ტრესტის დახურვამდე.

ბევრი მნიშვნელოვანი დღე ყოფილა ჩემს ცხოვრებაში, განსაკუთრებით გამოვიყოფ საპატიო მოქალაქედ არჩევის დღეს. ეს მართლაც ენით აუწერელი სიხარული იყო ჩემთვის.

კიდევ ერთხელ ვუხდი მადლობას ამ იდეის ავტორებს და სენაკის ყველა საპატიო მოქალაქეს ვუსურვებ ამ ტიტულის ამაყად ტარებას. მე ჩემი ქალაქის ნაწილი ვარ, ვამაყობ მისი წარსულით, ვცოცხლობ აწმყოთი და მიმართა რომ მომავალი თაობები დააფასებენ ჩემს მოკრძალებულ წვლილს ქალაქის შენებაში.

მომზადდა მარიკა მიქაბერიძემ

შეხვედრა მედიასაშუალებებთან

9 აპრილს, ქალაქ ქუთაისში აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაეროს ბავშვთა ფონდის, დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ორგანიზებით გაიმართა იმერეთისა და სამეგრელო ზემო სვანეთის მედი-

საშუალებებთან შეხვედრა იმუნიზაციის საკითხებთან დაკავშირებით. შეხვედრის ძირითადი აქცენტი გახლდათ იმუნიზაციის პროგრამის მნიშვნელობა საზოგადოების ჯანმრთელობის დაცვის საქმეში და ის, როგორ უნდა მიიტანოს მედიამ ეს უმნიშვნელოვანესი საკითხი მოსახ-

ლეობამდე. თემაზე „კორონა ვირუსი და მსოფლიო დღეს-გლობალური ჯანმრთელობის გამოწვევა“ - ისაუბრა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალურმა დირექტორმა ამირან გამყრელიძემ. „იმუნიზაციის პროგრამასა და მის მნიშვნელობაზე“-ისაუბრა ამავე ცენტრის იმუნიზაციის სამმართველოს უფროსმა ლიკა ჯაბიძემ.

თემა „კოვიდ-19-ის გავლენა მოსახლეობაზე“- განიხილეს ექიმებმა, ალერგოლოგ-იმუნოლოგმა, იმუნიზაციის ეროვნული საბჭოს ექსპერტმა ზიბინა კულუმბეგოვამ, თსუ-ს პროფესორმა, სისხლძარღვთა ქირურგმა, ექსპერტმა მამუკა ბოკუჩავამ.



გაეროს ფონდის წარმომადგენელი საქართველოში ლასან ხალილი



შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა, კითხვები შეეხებოდა კოვიდისტიუაციას, პანდემიის შესაჩერებლად გატარებულ ღონისძიებებს, ვაქცინაციის ეფექტურობას, კოვიდ-19-ის კლინიკურ ასპექტებზე და მკურნალობის თანამედ-

როვე მეთოდებზე “ ისაუბრა ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო ცენტრის ექიმ-ინფექციონისტმა მარინა ეზუგბაია.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი საქართველოში ლასან ხალილი, ქუთაისის ვიცე მერი ირაკლი ქარქაბაძე.

გიდეა ბალაშურიძე



სიმღერის ნიჭი და გამორჩეული ხმა ოჯახიდან დაწყებული...

ერთ-ერთ ფესტივალზე და-ძმის მიერ შესრულებულ სიმღერას „ენ-ძელები“ აღფრთოვანებამი მოუყ-

სიმღერა - სულის საგზა

ვანია დამსწრე საზოგადოება და კომპოზიტორი შოთა მილორაძე.

გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში ჩატარებულ პირველ საბავშვო ფესტივალზე თამაზ ეჯიბიამ სიმღერისათვის „ჰარი-რა“, რომლის ავტორი გახლდათ ლეგენდარული ნოკ ხურცია-ოქროს მედალი დაიმსახურა.

სენაკის მეორე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა თბილისის მელოტონ ბალანჩივაძის სახელობის მეოთხე მუსიკალურ სასწავლებელში ვოკალურ განყოფილებაზე განაგრძო.

სახელმწიფო კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ მერაბი მუსიკის თეორიას და ფორტეპიანოს ასწავლიდა სამუსიკო სასწავლებელში.

სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდის შემდეგ დაამთავრა კოსტრომის სასოფლო-სამეურნეო აკადემია ინჟინერ-მექანიკოსის სპეციალობით.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ კვლავ შემოქმედებით საქმიანობას აგრძელებს.

ფინანსური პრობლემების გამო ფუნქციონირება შეწყვიტა. უნდა ითქვას რომ ანსამბლი არაერთ ახალგაზრდა მომღერალს და მოცეკვავეს ეხმარებოდა ნიჭის განვრცობა - განვითარებაში.

ამჟამად თამაზ ეჯიბია სენაკის



თამაზ ეჯიბია მარცხნიდან მეორე

მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის ფოლკლორული ანსამბლის „ვერისის“ წევრია.

კლორული სიმღერები, რომელთა მოვლა-პატრონობა და მომავალი თაობებისათვის გადაცემა არის „ვერისელების“ მოღვაწეობის ძირითადი მიზანი.

ანსამბლის ხელმძღვანელისა და წევრების თქმით მუნიციპალიტეტის მერია, კულტურის სამსახური და მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრი (დირექტორი ბ.ქუთელია) ყველაფერს აკეთებენ ანსამბლის სიცოცხლისუნარიანობისა და განახლება-განვითარებისათვის.

თამაზ ეჯიბია არის კარგი ოჯახის თავკაცი, ჰყავს მეუღლე, ოთხი შვილი და ექვსი შვილიშვილი. მას დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა.

გ. შონია



აგროტური

მგდომარეს, 2017 წლის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის (World Economic Forum) წლის გლობალურ ახალგაზრდა ლიდერს ნინო ზამბახიძეს, რომელმაც მონაწილეობა გააცნო საკუთარი გამოცდილება, ისაუბრა ქალების გაძლიერებაზე, მათ როლზე აგროტურიზმის განვითარებაში და მნიშვნელობაზე ეკონომიკურ სექტორში.

მონაწილეებს შორის იყვნენ ახალგაზრდა მენარმეები გურანდა მირგატი და თამარ გელაშვილი, რომელთაც გააზიარეს თავიანთი გამოცდილება და წარადგინეს საკუთარი ნამუშევრები.

2015 წლიდან სენაკის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ ბიუჯეტში სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამაში ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ გათვალისწინებული პროექტი „აგროტურის ადგილობრივი ფერმერებისთვის და ტერიტორიული ორგანოების სპეციალისტებისთვის“, რომლის მიზანია დაინტერესებულ პირებს გააცნოს სოფლის მეურნეობის სფეროებში დანერგილი, სახელმწიფო პროგრამებით ხელშეწყობილი წარმატებული ფერმერებისა და სანარმოების საქმიანობა, ადგილზე დაანერგილი უახლესი ტექნოლოგიები და მეთოდები საკუთარ პრაქტიკაში დანერგვის მიზნით.

ანობის შესახებ გამოცდილება გააზიარეს ელისო ცაგურია და გვანცა მალანია. მონაწილეებმა ერთხმად გაუსვეს ხაზი ქალების როლს საზოგადოებაში და მათ გაძლიერებას სხვადასხვა სფეროში.

არანაკლებ საინტერესო და შთამბეჭდავი აღმოჩნდა ზურაბ შვედინაძის „გარდენიანი“ ვიზიტი ყვავილების მოვლა-მოყვანით დაინტერესებული ქალბატონებისათვის.

აგროტურის მონაწილე ქალბატონების თხოვნით მაღლობას ვუხდით სენაკის მუნიციპალიტეტის მერს ბატონ ვახტანგ გადელიას და ტურის ორგანიზებაში ჩართულ მერიის სამსახურებს, მეტად საინტერესო, შინაარსიანი და ლამაზი დღისათვის.

დალი ქაჩიაია, სენაკის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

გადაღობი მზრუნველობისათვის

65 წელია სოფელ მეორე ნოსირის მცხოვრებელი მეორე ნოსირის ადგილობრივი მმართველობის შექმნას ველოდებოდით. და ეს ნატვრა აგვისრულდა. ძველი სენაკის თემიდან გამოეყო სოფელი მეორე ნოსირი და შეიქმნა ადგილობრივი მეორე ნოსირის ადმინისტრაცია.

ამ ბოლო სამი ათეული წლის განმავლობაში პირველად მოვიდა რაიონის ხელმძღვანელი ჩვენს სოფელში. მან თავად მიიღო მონაწილეობა სოფლის პროგრამის განხილვაში.

ჩვენ, სოფლის მოსახლეობა, მაღლიერი დავრჩით.

სოფლის სახლით, გიორგი ნოსირის კულტურის სახლის ადმინისტრაციის



სსოვნა ირინა და სინარ ჯოჯუები

არ შეგეწუხებინა, მოუშუშებელი სატკივარი მათთვის თავს არ მოგეცვია შენს გულში ჩაბუდებული დარდი და ვარაში. ასე ვაჟკაცურად გაეცალე ამ წუთისოფელს.

არ მიყვარს მარტის თვე, რომელმაც წავგართა თქვენი თავი. ძნელია უთქვენობა, საოცარი ადამიანები იყავით მამა-შვილი, გამორჩეული, განსხვავებული, ამიტომ გვიჭირს. ორივე მონატრება ხართ მთელ ცხოვრებას რომ ასდევნებია, ჩვენი ფიქრი ხართ, რომელიც ყოველდღე ჩვენს გვერდით ცხოვრობს და სუნთქავს. დაუსრულებელი მოლოდინი ხართ, რომლებიც ყოველ ღამე სიზმრებში გვეცხიან და გვეწურჩეულებიან. მხოლოდ მო-

გონებები, სურათები, ცრემლები და საფლავი დაგვიტოვეთ.

ჩვენი ყველაზე დიდი საგანძური ლილი და ალექსი არიან, რომელთაც კარგად იციან, თუ როგორი საყვარელი, უსაზღვროდ კეთილი სულის დედა ჰყავდათ და უაღრესად კეთილშობილი და შვილიშვილებზე უსაზღვროდ შეყვარებული ბაბუა.

გულს მიხარებს რომ ისინი ასეთ კარგ სპეციალისტებად და ღირსეულ მოქალაქეებად იზრდებიან. ლილიმ უნივერსიტეტი დაამთავრა, მაგისტრატურაზე სწავლობს, პარალელურად მუშაობს, ალექსიც უნივერსიტეტის სტუდენტია.

ლილი ჩამოვიდა ესტონეთიდან სათაყვანებელი ბაბუას წლისთავზე, სასაფლაოზე შევიკრიბეთ შენი ახლობლები და მეგობრები, საფლავი ყვავილებით შეგიმკეთ, წმინდა სანთლები ავინთეთ.

მშვიდად განისვენეთ, თქვენი დანატოვარი სითბო და სიკეთე მეგზურად გაჰყვება ოჯახს, არასოდეს დაგვიწყებთ, ყოველთვის სასოებით მოგიგონებთ; გავუფრთხილებით თქვენს სახლებს და თქვენეულ ტრადიციებს ღირსეულად გავაგრძელებთ -მეუღლე გოგონა, შვილი ირაკლი, შვილიშვილები ლილი და ალექსი, შენ ხომ მათი სათაყვანებელი ბაბუა იყავი. ვეცდებით გავუძლიერებთ მწუხარებას,



ღირსეულად ვატაროთ და გავუფრთხილდეთ თქვენს სახელს.

ნათელი დაადგეს თქვენს უკვდავ სულს, სანთელი და საკმეველი გინათებდეს იმიერში გზას.

არის ტკივილი, რომელიც სულის ზიარია და არის ტკივილი, რომელსაც დრო ვერ ანელებს..

ოჯახი

<p>სარედაქციო აქტები</p> <p>მთავარი რედაქტორი ნინო სარტანიანი</p> <p>რედაქტორი მელა ბალანჩიანი</p> <p>კორექტორები: მანა გარბაია, მარია მიხაბერიძე</p> <p>ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი ჭალია ჩაჩიაია</p>	<p>რედაქციის მისამართი:</p> <p>სანაი, ჰავაზაძის ქ. №103, ტელ: 276150</p> <p>რედაქცია ხალხმძვანალოზ თაპისუალო პრანის არინიში, არ გავიხარებას კოლიბიანი და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერნეტის</p> <p>066259</p>	<p>რეგისტრირებულია სანაის სასამართლოში</p> <p>რეგისტრაციის №56/7-17</p> <p>გაზეთი აკრედიტორი ანფო, დაახლოვდა და ოჯახური წესით დანიავდა გზს „ხოლი 35“</p> <p>ქ. ქათამისი, ილია ჰავაზაძის გზა. 33</p> <p>ტელ: 223779, 223711, 223499</p>
--	---	--